ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3932831

ნომერი: AR1588345

თარიღი : 26.03.2018

გაცემის თარიღი : 26.04.2018

გაცნობის თარიღი : 27.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 77ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- უმაღლესი სასწავლებლები
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2343315
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 14.12.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: უმაღლესი სასწავლებლის კორპუსი სპორტულ-საგანმანათლებლო დანიშნულებით
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რევაზ ქეშელაშვილი

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს დემარკი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205196759

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს საქართველოს უნივერსიტეტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205037137
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კონსტანტინე თოფურია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026009059

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 9273.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2259.6
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 10413.6
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 258.1
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 2165.6
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1724.6
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 164.6
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 2617.4
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 431.0
- .აუზის ფართობი (კვ.მ).: 588.9
- .სპორტული მოედნის ფართობი (კვ.მ).: 313.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 39024.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 34361.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4662.1
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 39.31
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 32.51
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .სასწავლო აუდიტორიის ფართობი (კვ.მ): 2150.4

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. თუ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ წარმოდგენილი 2017 წლის 24 ოქტომბრის მინდობილობით არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება ვინაიდან არ დგინდება კონსტანტინე თოფურიას უფლებამოსილება ასევე აღნიშნულ მინდობილობას ვადა აქვს გასული. შპს-ს წესდების 11.1 პუნქტის თანახმად საზოგადოების ორგანიზაციული ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება პრეზიდენტებს. ხოლო 11.2 პუნქტის თანახმად პრეზიდენტები ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ ერთობლივად. აქედან გამომდინარე წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან საზოგადოების უფლებამოსილი პირები დარეგისტრირდნენ

თანაგანმცხადებლად. დამკვეთის ველში საჭიროა მიეთითოს საზოგადოების პრეზიდენტები და მათი პირადი ნომრები. ასევე თუ საპროექტო სამუშაოები ეხება სარგებლობით გაცემულ ფართებს წარმოდგენილ იქნეს სარგებლობის საფუძვლები და საჭიროების შემთხვევაში მოსარგებლის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. თუ არ ეხება საპროექტო სამუშაოებით სარგებლობით გაცემულ ფართს განმარტოს ასევე აღნიშნულის თაობაზე თუმცა მაინც საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ასეთ შემთხვევაშიც სარგებლობის საფუძვლები.

წარმოდგენილ იქნეს რეესტრში რეგისტრირებული ვალდებულების ყველა საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში გამყიდველის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. ასევე წარმოდგენილ იქნეს იპოთეკის საფუძვლები და საჭიროების შემთხვევაში იპოთეკარის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. გაითვალისწინეთ, რომ თანხმობა გაცემული უნდა იყოს წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ.
2. საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

1. კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
2. გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);
3. გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
4. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
5. გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;

3. საჭიროა წარმოადგინოთ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საკვლევი (საჭიროების შემთხვევაში – საპროექტო ტერიტორიაზე) ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით (მათ შორის, ნაკადების რაოდენობის მიმართულებების მითითებით) და საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასება არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე.

4. შესაბამის ველში ატვირთეთ კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების (მომიჯნავე საკადასტრო ერთეულ(ებ)ის და მისამართის დაფიქსირებით) არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესში მათზე ზეგავლენის შესახებ, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები; წარმოდგენილ იქნას ასევე სრულყოფილი კვლევა და დასკვნა, რომ აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელის მშენებლობა არ იქონიებს ზეგავლენას არც მშენებლობის და არც ექსპლუატაციის პროცესში უკვე არსებულ მიწისქვეშა გვირაბებზე (ს/კ N01.10.13.023.070). საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადგინდება ის ფაქტი, რომ ეს მიწისქვეშა საკადასტრო ერთეული არ არის საპროექტო ტერიტორია, კერძოდ, საპროექტო შენობა განთავსდება დამოუკიდებლად და შემხებლობაში არ არის მიწისქვეშა საკადასტრო ერთეულთან.

იმ შემთხვევაში, თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში, დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები; გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა, დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე;

5. შესაბამის ველ(ებ)ში საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასების და შენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების (საპროექტო ტერიტორიასა და მის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობების ან/და საკადასტრო ერთეულების გათვალისწინებით) დადებითი (ან უარყოფითი) საბოლოო დასკვნა. ასევე, ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, დიპლომს, სამუშაო გამოცდილებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს და დიპლომს.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.